საიდ. N72645/03

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №160-03/14

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ ,,საქპატენტთან" არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: მ. ფრუიძე, ა. დალაქიშვილი, ქ. კილაძე, ლ. ახობაძის მდივნობით, განიხილა შპს „ვაინმენ შპს"-ს (მის.:გუდიაშვილის ქ. 11) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №160-03/14), რომლითაც მოითხოვება ,,სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ" სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის ,,საქპატენტის" სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 18 ივლისის №933/03 ბრძანების ბათილად ცნობა და სასაქონლო ნიშნის ,,გოდოლი GODOLI" (საიდ. N72645/03) რეგისტრაცია საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (33-ე კლასი).

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის გადაწყვეტილება და მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 18 ივლისის №933/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი ნიშანი ,,გოდოლი GODOLI“ (საიდ. N72645/03) დაცვას არ ექვემდებარება, რადგან მსგავსია შპს „კორპორაცია ქართული ღვინო“-ს (მის: ქ. თბილისი, სიმონ ჩიქოვანის ქ. N35) სახელზე რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნისა ,,გოდორი GODORI ГОДОРИ" (რეგ. N24918; რეგ. თარიღი: 13.06.2014წ.). ნიშნები ფონეტიკურად იმდენად მსგავსია, რომ ჩნდება სასაქონლო ნიშნების აღრევის შესაძლებლობა. გარდა ამისა, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი ნიშნის რეგისტრაცია მოითხოვება იდენტური საქონლის (ალკოჰოლიანი სასმელებისთვის) ჩამონათვალისათვის, კერძოდ, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი ,,გოდორი GODORI ГОДОРИ" (რეგ. N24918) რეგისტრირებულია ასევე 33-ე კლასის საქონლის ჩამონათვალისათვის. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, სასაქონლო ნიშანს ,,გოდოლი GODOLI“ (საიდ. N72645/03) უარი ეთქვა რეგისტრაციაზე 33-ე კლასის საქონლი ჩამონათვლისთვის.

აპელანტი არ ეთანხმება ექსერტიზის გადაწყვეტილებას და მიიჩნევს, რომ არ არსებობს ,,სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული, სასაქონლო ნიშნის ,,გოდოლი GODOLI” რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი.

მიუხედავად იმისა, რომ აპელანტი არ უარყოფს განცხადებულ და დაპირისპირებულ სიტყვიერ სასაქონლო ნიშნებს შორის ფონეტიკუტი მსგავსების ფაქტს, განმარტავს, რომ ორივე სასაქონლო ნიშანს აქვს იმდენად განსხვავებული აზრობრივი დატვირთვა, რომ ქართველი მომხმარებლის მიერ არ მოხდება ამ სასაქონლო ნიშნებით მონიშნული 33-ე კლასის საქონლის მწარმოებელი კომპანიების ერთმანეთში აღრევა.

აპელანტი იშველიებს ქართული ენის განმარტებით ლექსიკონს (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის 1986 წლის გამოცემა; მთ. რედაქტორი არნოლდ ჩიქობავა; გვ. 150), რომლის მიხედვით, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების სიტყვიერი ელემენტები განმარტებულია შემდეგნაირად: ,,გოდოლი - მაღალი კოშკი, ზოგჯერ ზღუდე-გალავნით.“.

,,გოდორი - წნელის, ტკეჩის მოზრდილი მაღალი ჭურჭელი.“.

აპელანტის მტკიცებით, ანალოგიური განმარტებებია მოყვანილი სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში ,,სიტყვის კონა“, კერძოდ:

,,გოდოლი - კოშკი მაღალი (გინა ბურჯი), ციხე: იხილეთ აგრეთვე - გოდლედი“.

,,გოდორი - წკეპლის ჭურჭელი“.

აპელანტის აზრით, ზემოაღნიშნული განმარტებებიდან აშკარად ჩანს, რომ დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშნებს ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული აზრობრივი დატვირთვა აქვთ. სიტყვიერი ელემენტების ქართული წარმომავლობიდან გამომდინარე, აღნიშნული განსხვავება კარგად არის გაცნობიერებული ქართველი მომხმარებლის მიერ. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ სიტყვა ,,გოდოლი“, წერილობითი წყაროების თანახმად, ადრინდელ ფეოდალურ ხანაში იხმარებოდა, ხოლო შემდეგ იგი სიტყვამ - კოშკი შეცვალა. აპელანტის აზრით, თანამედროვე ქართველ მომხმარებელში ეს სიტყვა მხოლოდ ბაბილონის გოდოლთან ასოცირდება და შესაბამისად, მათი ფონეტიკური მსგავსების მიუხედავად, არ მოხდება ამ სასაქონლო ნიშნებით მონიშნული 33-ე კლასის

საქონლის მწარმოებელი კომპანიების ერთმანეთში აღრევა, მათ შორის, ასოცირების შედეგად.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, აპელანტი ითხოვს, ბათილად იქნას ცნობილი ,,სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ" სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის ,,საქპატენტის" სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 18 ივლისის №933/03 ბრძანება და სასაქონლო ნიშანი ,,გოდოლი GODOLI" (საიდ. N72645/03) დარეგისტრირდეს 33-ე კლასის საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი (საიდ. №160-03/14) უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო პალატის კოლეგია, იზიარებს აპელანტის არგუმენტაციას იმასთან დაკავშირებით, რომ განცხადებულ სასაქონლო ნიშანს ,,გოდოლი GODOLI" (საიდ. N72645/03) და დაპისპირებულ სასაქონლო ნიშანს ,,გოდორი GODORI ГОДОРИ" (რეგ. N24918; რეგ.) აქვთ განსხვავებული სემანტიკური მნიშვნელობა. მიუხედავად სასაქონლო ნიშნებს შორის არსებული ფონეტიკური მსგავსებისა, სააპელაციო პალატის კოლეგიის აზრით, დაპისპირებული სასაქონლო ნიშნები, არ შეიძლება განხილული იქნას, როგორც აღრევამდე მსგავსი. სააპელაციო პალატის პოზიცია გამომდინარეობს იმ გარემოებიდან, რომ დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშნებს აქვთ განსხვავებული სემანტიკური მნიშვნელობა. ორივე სიტყვა განმარტებულია ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში და მათ შორის არ არსებობს არანაირი შინაარსობრივი მსგავსება. კერძოდ, სიტყვა ,,გოდორი" განმარტებულია როგორც - ,,გოდორი (გოდრისა) ,,წკეპლის ჭურჭელი" (საბა), წნელისგან (ტკეჩისგან) მოწნული, მაღალი მოგრძო კალათი". ხოლო სიტყვა ,,გოდოლი" განმარტებულია როგორც - ,,გოდოლი (გოდლისა) ძვ. მაღალი კოშკი (ზოგჯერ ზღუდე-გალავნით)". (ქართული

ენის განმარტებითი ლექსიკონი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი 1951წ.; გვ. 1468.) შესაბამისად, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ ქართველი მომხმარებლისათვის ცნობილია ორივე სიტყვის მნიშვნელობა და სწორედ მათი განსხვავებული შინაარსიდან გამომდინარე, არ მოხდება დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების აღრევა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი არა აქვს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევას და სასაქონლო ნიშანი ,,გოდოლი GODOLI“ (საიდ. N72645/03) უნდა დარეგისტრირდეს საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა” ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. შპს „ვაინმენ შპს“-ს სააპელაციო საჩივარი (საიდ. №160-03/14) დაკმაყოფილდეს.

2. ბათილად იქნას ცნობილი ,,სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ” სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის ,,საქპატენტის” სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 18 ივლისის №933/03 ბრძანება.

3. სასაქონლო ნიშანი ,,გოდოლი GODOLI“ (საიდ. N72645/03) დარეგისტრირდეს 33-ე კლასის საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

4. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: მ. ფრუიძე

წევრები: ა. დალაქიშვილი

ქ. კილაძე